

შოთა რუსთაველი

ვეფხისტყაოსანი

პროზად გარდაქმნილი ლადო ასათიანის
და ნიკა აგიაშვილის მიერ.

1996 წ.

821.353.1-13 + 821.353.1-32

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფოთა რუსთაველის საიუბილეო ნოვრისათვის (1937 წლის 24 დეკემბერი) „ვეფხისტყაოსნის“ ვრცელი შინაარსი ლადო ასათიანმა და მე გავაკეთეთ და შევადგინეთ. სულ ვრთად ვიყავით და თავიდან ბოლოვდე კრიზად გარდავთქვით ეთელი ეოემა.

ნიკა ავიაშვილი.

F110.440.3

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესავალი

„შოთა რუსთაველი იგივე საქართველოა და საქართველო იგივე „ვეფხისტყაოსანი“ — ასე ბრძანა ვაჟა ფშაველამ. ეს პოემა მე-12 საუკუნიდან საქართველოს ისტორიას ფეხდაფეხ მოჰყვება და თაობებს უნერგავს გმირობას, რაინდობას, „ჭირსა შიგან გამაგრებას...“ ასწავლის იმასაც, რომ ცალკეული პიროვნება უძლურია გამარჯვების მოსაპოვებლად, რაგინდ მამაცი და ძლიერი ნებისყოფის პატრონიც უნდა იყოს იგი, რომ გამარჯვების საწინდარია ძმობა, მეგობრობა, სიყვარული. ეს სიბრძნე დღევანდელ საქართველოსაც ჰაერივით სჭირდება. „ვეფხისტყაოსანი“ ერის წმიდათაწმიდა განძია, ქართველების შთამაგონებელი და სულიერად გამამხნევებელი ძალა.

სკოლაში დღეს „ვეფხისტყაოსნის“ შესწავლა მეხუთე-მეექვსე კლასიდან იწყება ორ-ორი საზეპირო ადგილით და მცირე შინაარსით. გაზეთ „ნერგის“ რედაქციაში გადაწყდა, ყმაწვილებისათვის პოემის უფრო ვრცელი შინაარსი მიგვეწოდებინა. რამდენიმე თვის განმავლობაში „ვეფხისტყაოსნის“ ლადო ასათიანისა და ნიკა აგიაშვილის მიერ პროზად გარდაქმნილ ვარიანტს ვბეჭდავდით. ბევრმა მასწავლებელმა თუ მოსწავლემ მოგვთხოვა მისი ბროშურად გამოცემა. გადავწყვიტეთ მათი სურვილის შესრულება. ვფიქრობთ, რომ ამ ტექსტის გაცნობის შემდეგ უფროსკლასელებსაც დაინტერესებთ პოემის ხელმეორედ გადაკითხვა.

„ვეფხისტყაოსანი“ ბევრ ენაზეა თარგმნილი. რუსი, აზერბაიჯანელი, სომეხი თავიანთ ენაზე კითხულობენ, უნგრელი, ინგლისელი თუ ჩინელი — თავიანთ ენაზე, ჰოდა, ქართველმა სკოლა დაამთავროს და არ ჰქონდეს წაკითხული? დანაშაულიცაა და დიდი დანაკლისიც; „ხანი გამოხდა, იკითხა: „ნეტა რასა იქს ქალიო (თინათინი), ჩემი ლხინი და ჯავარი, ჩემი სოფლისა წყალიო?“ ანდა „მამამან (თინათინი) გვერდსა დაისვა, აკოცებს ნება-ნებასა, უბრძანა: „მახლავ რად არა, რად მელი მოყვანებასა?“ დიდი სიბრძნე, მოქნილი და

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

აზრით მდიდარი თქმები, რითმების სიმდიდრე, ლექსის მუსიკალურობა, ბგერათა ჰარმონიკა (ალიტერაციები)... კითხულობ ამ მარგალიტებს და ცამდე მაღლდები. აქვე გვინდა გითხრათ, რომ „ვეფხისტყაოსნის“ პროზაული ვარიანტი ახლოს ვერ მივა დიდი შოთას ვენიალურ ქმნილებასთან. ეს პატარა წიგნი დაგეხმარებათ რთული ადგილების უკეთ გაგებაში, მისი შინაარსის უკეთ აღქმაში. თუკი „ნერგი“ ამით მცირედ სამსახურს მაინც გაგიწევთ, ჩავთვლით, რომ ჟაზეთმა თავისი მისია ამ კუთხით შეასრულა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ვეფხისტყაოსანი“
(მოკლე შინაარსი)

- არაბეთში მეფობდა სახელგანთქმული და ფრიად გონიერი მეფე — როსტევანი. ის მეტისმეტად მოხუცებული იყო. ტახტის მემკვიდრედ მხოლოდ ერთადერთი ასული, შეუდარებლად ლამაზი თინათინი ჰყავდა.

ერთხელ მეფემ მოიწვია დიდებულთა და ვეზირთა თათბირი და განუცხადა: რადგან უკვე მოვხუცდი და ვაჟი არა მყავს, სამეფო ტახტი ჩემს ასულს — თინათინს უნდა დავუთმო. დიდებულები დათანხმდნენ და დიდ სიხარულს მიეცნენ.

განსაკუთრებით გაუხარდა ეს ამბავი როსტევანის აღზრდილ ახალგაზრდა რაინდს — ავთანდილს, არაბეთის ჯარების სპასპეტს, ანუ მხედართმთავარს, თინათინსა და ავთანდილს ფარულად უყვარდათ ერთმანეთი, მაგრამ არ უმჟღავნებდნენ ტრფობას ერთიმეორეს, თინათინის გამეფებით ავთანდილს საშუალება ეძლეოდა ხშირად ენახა სატრფო.

თინათინის გამეფების გამო სასახლეში გაიმართა დიდი ზეიმი, სხვა დიდებულებთან ერთად ავთანდილიც დაესწრო ამ ზეიმს. მეფემ თავისი ხელით დაადგა გვირგვინი თინათინს და საჭირო რჩევა-დარიგებანი მისცა.

თინათინმა გააცნეინა თავისი სალაროები და უამრავი განძეული გასცა.

ლხინი და ნადიმი რამდენიმე დღეს გაგრძელდა. მხოლოდ თვითონ მეფე როსტევანი იყო უზომოდ მოწყენილი. ავთანდილმა და უფროსმა ვეზირმა სოგრატმა, გაბედეს, წარუდგნენ მეფეს და მოკრძალებით გამოკითხეს მოწყენილობის მიზეზი, ვეზირმა ხუმრობით ჰკადრა: მეფემ, იქნებ, იმიტომ მოიწყინა, რომ მისმა ასულმა ესოდენი ქონება გასცა და თავისი გულუხვობით სალაროები დააცარიელა, ალბათ, ახლა ნანობს, მეფედ რად დავსვიო.

მაგრამ მეფის დასევდიანების მიზეზი გამოირკვა, მის საბრძანებელში არ იყო ისეთი კაცი, რომელსაც როსტევანისაგან შეეთვისებინა საამაცო ზნენი, მოხუც მეფეს არ ჰყავდა ვაჟიშვილი, მამისაგან რომ ესწავლა მშვილდოსნობა, ან ბურთაობა, მხოლოდ ავთანდილი ჰგავდა მას ოდნავ და ისიც იმიტომ, რომ როსტევანის გაზრდილი იყო. ავთანდილს გაეცინა და მოახსენა: ნუ გამიწყრები, მეფეო, მაგრამ ერთი რამ უნდა გაგიბედო: გავიდეთ სანადიროდ და ვინ უფრო მარჯვე მშვილდოსანია, იქ გამოჩნდებაო. შეეცილნენ ერთმანეთს პირველობაში როგორც მსროლელნი და ამის გამო მოაწყვეს შეჯიბრებითი ნადირობა.

მონადირეებმა წინასწარ დადეს პირობა, ვინც დამარცხდებოდა —სამ დღეს თავშიშველი უნდა ევლო. მშვილდისრის მოსაწოდებლად და ნადირობის შედეგთა შესამოწმებლად როსტევანს თან ახლდა თორმეტი მარჯვე მონა და ავთანდილს კი — მისი გაზრდილი შერმადინი.

გავიდნენ ველად, ინადირეს, მრავალი ნადირი დახოცეს. ნადირობის დასასრულს, როცა დაისვენეს, გამოირკვა: ავთანდილს ოცით უფრო მეტი მოეკლა ვიდრე მეფეს. როსტევანს დიდად გაუხარდა ეს ამბავი.

მონადირენი დასხდნენ მდინარის პირას, ხის ძირში, შეიქცეოდნენ.

უცბად წყლის პირას დაინახეს ვიღაც უცნობი რაინდი, ცალ ხელში სადავით შავი ცხენი ეჭირა, მეორეში — მკლავზე უმსხოსი მათრახი ეკავა. ტანზე ვეფხის ტყავი ემოსა და ვეფხის ტყავისავე ქუდი ეხურა. უცნობი ჭაბუკი მეტისმეტად მოწყენილი იყო, გულამოსკვნილი ტიროდა: უზომო მწუხარებას ისე შეეპყრო, რომ არ ესმოდა, რა ხდებოდა მის გარშემო.

მეფემ მოიწადინა გაცნობოდა, და ბრძანა მისი ახლოს მოყვანა, გაგზავნა ერთი მონა ამბის გასაგებად, მაგრამ იმ უცხო კაცმა არავითარი ყურადღება არ მიაქცია მას. ისევ ტირილს განაგრძობდა. ეტყობოდა მწარე ფიქრებით იყო დატვირთული. მეფეს გული მოუვიდა და თორმეტ მონას უბრძანა: თუ ნებით არ წამოგყვეთ, ძალით მოიგვარეთო. იარალის ჟღარუნზე ჭაბუკი გამოფხიზლდა, წამოდგა, ცხენს შემოახტა და სხვა მხარეს გაემართა. თორმეტი მონა გამოეცალა შესაპყრობად, მაგრამ შავცხენოსანმა კაცი კაცს შემოხტყორცნა, მათზე იარალის ხმარებაც კი არ იკადრა და მათრახის ცე-

ბით ამოჟლიტა ყველანი. ამის შემდეგ თვით ავთანდილი და მეფე გამოედევნენ ცხენებით, მაგრამ უცხო ყმაბ რომ იგრძნო თვითონ მეფე მომდევსო, მყისვე უგზო-უკვლოდ გადაიკარგა. ის ველარსად ნახეს.

როსტევანი ამ ამბავმა მეტად შეაწუხა და უზომოდ დანაღვლიანებული დაბრუნდა შინ.

ალარც ლხინი აინტერესებდა, არც არაფერს აკეთებდა, ჩაიკეტა დარბაზში და სევდამ შეიპყრო.

თინათინის რჩევით, მეფემ ქვეყნის ოთხსავე კუთხეში გაგზავნა მონები. ერთ წელიწადს ეძიეს ის უცნობი, მაგრამ მის კვალს ვერსად მიაგნეს და ხელცარიელნი დაბრუნდნენ არაბეთში. მეფემ თავი ანება წუხილს და კვლავინდებურად შეუდგა თამაშობას, ლხინსა და მხიარულებას.

ერთ დღეს თინათინმა დაიბარა ავთანდილი და უთხრა: ვიცი, რომ გიყვარვარ, მეც ასეთივე გრძნობა მაქვს შენდამი, მაგრამ თუ მართლა გსურს ჩემი სიყვარულის დამსახურება, ის უცნობი ჭაბუკი მოძებნეო.

თინათინმა სამი წლის ვადა მისცა ავთანდილს იმ ყმის საძებნელად და ალუთქვა: რომ მოხვალ, სულ ერთია, გინდ იპოვნო, გინდ არა, მაინც შენი ცოლი გავხდები და შენს მეტი სხვა ქმარი არ მინდაო.

გაბარებულ ავთანდილს მეფისათვის არ გაუმხელია ეს ამბავი, მხოლოდ ნებართვა ითხოვა, თინათინის გამეფების გამო უნდა წავიდე და გარემო ქვეყნები დავიმონოო. წავიდა საკუთარ ქალაქში და ყველაფერი შერმადინს გაანდო: ყოველწლიურად ჩემს მაგიერ მეფეს წერილი მისწერე და საქმეთა ვითარება აცნობე, თუ სამი წლის შემდეგ არ დავბრუნდი, მერე მეფეს ყველაფერი გაუმჟღავნეო, ამის შემდეგ გაუდგა გზას.

სამი წლის განმავლობაში ბევრი იხეტიალა ავთანდილმა, ბევრი ტანჯვა-წამება გადახდა თავს, თითქმის მთელი დედამიწა შემოიარა, მაგრამ ვერაფერი გაიგო.

სამ წელიწადს უკვე სამი თვე აკლდა, როცა ერთ მწირ ქვეყანაში ამოყო თავი, მთის წვეროდან დიდი მინდორი გამოჩნდა. ჩავიდა, ირემი მოკლა და ცეცხლზე მწვადს წვავდა. ანაზდად ექვსი ცხენოსანი შეამჩნია. მისკენ მოდიოდნენ, მეკობრეები, ანუ ავაზაკები ეგონა. ცხენოსნებს ერთი დაჭრილი კაცი მოჰყავდათ.

ავთანდილი მიეგება მათ და გაიგო: ისინი ხატაელი მონადირეები ყოფილიყვნენ. გზაზე ვიღაც შავცხენიანი ჭაბუკი შეხვედროდათ, ტანსა და თავზე ვეფხის ტყავი ემოსა. მონადირეებს მისი შეჩერება მოეწადინებინათ, მაგრამ მას გული მოსვლოდა, მათრახით დარეოდა მონადირეებს, და ერთი ძმა სასიკვდილოდ დაეჭრა კიდეც.

მონადირეებმა შორს დაანახეს ავთანდილს ის მხედარი, რომელიც ოთხამოლებული მიაქროლებდა შავ მერანს.

ავთანდილი გამოეთხოვა ხატაელებს და გამოედევნა იმ უცხოცხენოსანს. გზაზე იფიქრა, პირდაპირ მისვლა სახიფათოაო, და უცაბედად რომ არ შემოკვდომოდათ ერთმანეთი, ნელ-ნელა უკან მიყვებოდა. ისე იარეს ორი დღე და ღამე, არც ერთს არ დაუძინია, არც უსვამთ და არც უჭამიათ.

მესამე დღეს ერთ ულრან ტყეს მიადგნენ. მდინარე ჩამოდიოდა. მდინარის გალმა გამოქვაბული იყო შეკაფული. გარშემო კი აშლილიყო ლერწმის ტევრი, ავთანდილი ერთ ხეზე ავიდა და იქიდან უთვალთვალებდა. ცხენოსანი მიუახლოვდა გამოქვაბულს, საიდანაც ერთი თმაგაშლილი მომტირალი ქალი გამოვიდა, ჭაბუკს გადაეხვია და ორივენი ატირდნენ. ცხენი გამოქვაბულში შეიყვანეს. იმ ღამით ავთანდილი მახლობლად ხეზე იჯდა და უდარაჯებდა.

მეორე დილით ქალმა ცხენი გამოიყვანა და შეკაზმა. უცნობი ყმა ტირილით გამოეთხოვა ქალს და იმავე გზით წავიდა, რომლითაც წინა დღით იგი და ავთანდილი მოვიდნენ. ავთანდილმა ისარგებლა ჭაბუკის არყოფნით და პირდაპირ გამოქვაბულისაკენ გასწია. ქალს ეგონა, ის ყმა დაბრუნდაო და გახარებული შემოეგება, მაგრამ უცხო ადამიანის დანახვამ შეაშინა, ყვირილი მორთო და გამოქვაბულს მიაშურა. ავთანდილი შეევიდა შიგნით და ხვეწნა დაუწყო, ამშვიდებდა და ემუდარებოდა — ეთქვა თუ ვინ იყო ის კაცი, ქალმა არ შეიწყნარა მისი ვედრება, მაშინ ავთანდილმა ქალს ხელი ხტაცა, დანა ამოიწვადა და ქალისათვის ყელის გამოჭრას ლამობდა, მაგრამ იგი მაინც არაფერს ამბობდა, როცა ძალით ვერაფერი გააწყო, ავთანდილმა ტირილი დაიწყო, ქალს თავი შეაბრალა. გაუმხილა ყოველივე, თუ ვინ გამოგზავნა, რისთვის იყო წამოსული და ბოლოში მოიხადა შეურაცხყოფისათვის.

ქალს შეებრალა ავთანდილი, როგორც მიჯნური, მოკლედ მოუთხრო: იმ ქაჯს ტარიელი ჰქვიან, მე კი — ასმათი, აქ ვცხოვრობთ,

ხხვას ვერაფერს გეტყვი, როცა მოვა, ყოველივეს დაწვრილებით თვითონ გიამბობს, მანამდე აქ დარჩიო.

ამ დროს მართლაც გამოჩნდა დაბრუნებული ტარიელი. ქალმა შეორე ოთახში დამალა ავთანდილი. ტარიელი შემოვიდა. დაიწყეს მოთქმა და ტირილი. ასმათმა საუბარში შეაპარა ტარიელს, რატომ ობლად და მარტო ცხოვრობ, ნუთუ ასე უადამიანოდ, უამხანაგოდ მზეცებთან უნდა იხეტიალო. ტარიელმა უპასუხა, ქვეყნად ისეთი არავინ გამოჩნდა, რომ მიმეგობროსო. მაშინ ასმათმა სიტყვა ჩამოართვა ტარიელს, რომ ნურაფერს ავნებ და ასეთ ადამიანს გიპოვნიო. გამოიყვანა ავთანდილი და გააცნო ტარიელს. ორივეს მოეწონა ერთმანეთი, გადაეხვივნენ და გადაკოცნეს ერთიმეორე. ავთანდილმა ყველაფერი უამბო, მოაგონა უცნაური წინანდელი შეხვედრის ამბავი. ტარიელს გულში ჩაუვარდა არაბეთის სპასპეტი, შეუყვარდა ის, და დაწვრილებით მოუთხრო შემდეგი:

ინდოეთის შვიდი სამეფოდან ექვსი ეკუთვნოდა მეფე ფარსადანს. მეშვიდე ნაწილს განაგებდა მეფე სარიდანი — ტარიელის მამა, რომელმაც მოხუცებულობის გამო, თავისი წილხვდომილი მეშვიდეც ფარსადანს დაუთმო, რის ნაცვლად მას მიანიჭეს მთელი ინდოეთის ამირბარობა და ამირ-სპასალარობა. სარიდანს დიდი პატივისცემით ეპყრობოდა მეფე ფარსადანი, რადგან ფარსადანს მემკვიდრე არ ჰყავდა, მან იშვილა სარიდანის შვილი ტარიელი, რომელიც მეფის გვარისა იყო და სასახლეში ზრდიდა.

ხუთი წლისა როცა შეიქმნა ტარიელი, დედოფალი დაორსულდა, გოგონა ეყოლა, ნესტან-დარეჯანი დაარქვეს. სანამ შვიდი წლის გახდებოდა იგი, ტარიელიც მასთან ერთად იზრდებოდა. შემდეგ მამასთან დააბრუნეს, ქალს კი ცალკე კოშკი აუგეს და ალსაზრდელად მისცეს ქაჯეთის ქვრივს, მეფის დას — დავარს. ნესტან-დარეჯანს შუდამ ახლდა მოსამსახურე ასმათი და ორი მონა.

ტარიელი თხუთმეტი წლის გახდა. ამ დროს გარდაიცვალა სარიდანი. შვილმა ერთი წელი იგლოვა მამა. შემდეგ ფარსადანმა ანუგეშა იგი, სამგლოვიარო შავები გაახდევინა და მამის თანამდებობა, ანუ ამირბარობა უბოძა, ამის გამო უხდებოდა მეფესთან ყოფნა.

ერთხელ ნადირობიდან ბრუნდებოდნენ მეფე და ტარიელი. ნესტან-დარეჯანის კოშკის ეზოში შევიდნენ. ფარსადანმა ინახულა ნესტანი და გამოგზავნა ასმათი, რათა ტარიელისათვის ნანადირევი დურაჯი ჩამოერთმია. ასმათმა გარეთ გამოსვლისას ფარდაგი გა-

დასწია და ტარიელმა მოულოდნელად დაინახა მზეთუნახავი ნესტან-დარეჯანი, რომლის სილამაზემ ისე მოხიბლა და მოაჯადოვა, რომ თავზარი დაეცა, გული წაუვიდა და გრძნობა დაჰკარგა. მეფემ და დედოფალმა ცოცხალმკვდარი სახლში წაიყვანეს. ექიმები დაახვიეს და სამი დღის შემდეგ ძლივსძლივობით გრძნობა დაუბრუნეს.

ნესტანის სიყვარულისაგან ჭკუადაკარგული და დასევდიანებული, ნაავადმყოფარი ტარიელი საწოლში იყო. მსახურმა ასმათის მონის მოსვლა აცნობა. მან სააშიკო წიგნი გადასცა ტარიელს, რომელსაც დიდად გაუკვირდა და ტრფობა უფრო გაუორკეცდა. მეორედ გაუგზავნა კაცი ასმათმა და ატყობინებდა — ჩემთან შემოიარეო. მესამეჯერ თვითონ ასმათი ესტუმრა ტარიელს და განუცხადა, ნესტანს უყვარხარო, და ქალის წერილი გადასცა.

ნესტან-დარეჯანი წერდა ტარიელს: ნუ გეშინია, შენი ვიქნები, მხოლოდ მწუხარებას ნუ მისცემ თავს, ცუდუბრალოდ გულის წუხილი და ამაო ბნედა სიყვარული ნუ გგონიათ, საყვარელს საგმირო საქმეები უნდა აჩვენოო. შენი ცოლობა წინათაც მსურდა, მაგრამ აქამდის ვერ გაგიმხილე, ახლა კი ყველაფერი გავიგე, რაც თავს გადაგხდომიათ. ნესტანი ავალებდა ტარიელს, ჩვენს სახარაჯო ხატაეთზე გაილაშქრე, ხატაელები ჩვენ აღარ გვემორჩილებიან, მათი ჯავრი ამოიყარე, დაამარცხე ისინი, გმირობა მაჩვენე და შენი ცოლი გავხდებიო.

გახარებულმა ტარიელმა საპასუხო წერილი მისწერა სატრფოს და ასმათს უზომო საჩუქარი შესთავაზა. მაგრამ ასმათმა მხოლოდ ერთი ბეჭედი წაიღო. შემდეგ მოილაპარაკეს, თუ როგორ მოეწყოთ და არ გამჟღავნებულიყო ტრფობის ამბავი. ნესტანი ითხოვდა, რომ ტარიელი თითქოს ასმათის სააშიკოდ ივლიდა და ნამუსად დაიმარხავდა ნესტანთან მიჯნურობას. ამის შემდეგ ტარიელი სავსებით განიკურნა, ნადირობა და ზეიმი გამართა და მრავალი საჩუქარი გასცა. შემდეგ ხატაეთის მეფე რამაზს წერილი გაუგზავნა და აცნობა: საჩქაროდ გამოცხადებულიყო ინდოეთის მეფესთან მორჩილებისათვის, თან ემუქრებოდა: თუ თქვენ არ მოხვალთ, მაშინ ჩვენ გეწვევით და საქმეც ცუდად წაგივათო. ტარიელი რამაზ მეფის პასუხს უცდიდა, ლხინობდა და საყვარლის მოგონება ხან ახალისებდა, ხან განუსაზღვრელ სევდას ჰგვრიდა. ერთხელ ასმათის მონა ეწვია და შეატყობინა: ასმათს შენი ნახვა უნდაო. ასმათმა ტარიელი ნესტანთან წაიყვანა. ნესტანი მდუმარედ იჯდა და ტარიელს სირცხვილისაგან ვე-



მას დღე გასცემს ყველაკასა სივაჟისა მოგებულსა,
რომე სრულად ამოაგებს მცირესა და დიდებულსა.



ავთანდილ ცხენსა გარდახდა, მონახნა დიდნი ხენია,
მას ზედა ჭვრეტად გავიდა, ძირსა დაბა ცხენია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაფერი უთხრა. დიდხანს იჯდა უხმოდ ტარიელიც, როცა ნესტანის ბრძანებით ასმათმა იგი გარეთ გამოიყვანა, ტარიელმა ტირილი დაიწყო და მწუხარება გაამრავლა.

ამასობაში ხატაეთიდან მოუვიდა რამაზ მეფის მეტად კადნიერი წერილი. მუქარით იწერებოდნენ, მობრძანდით და დაგხვდებითო. ტარიელი ომისათვის სამზადისს შეუდგა. ომში წასვლამდის ნესტანმა დაიბარა, შეჰფიცა სიყვარული და ცოლობა აღუთქვა:

ტარიელმა დიდძალი ჯარით გაილაშქრა ხატაეთზე. ხატაელებმა მოინდომეს ტარიელის შეტყუება რამდენიმე მხლებლით და მისი ლალატით მოკვლა. მაგრამ ერთმა ხატაელმა, რომელიც ტარიელის მამის გაზრდილი ყოფილიყო, ტარიელს შეატყობინა ეს განზრახვა და სიკვდილს გადაარჩინა. ტარიელი ჯერ მცირეოდენი რაზმით შეება ხატაელებს და სულ მუსრი გაავლო. შემდეგ მთელი ლაშქარი ჩაება ბრძოლაში და მტერი სასტიკად დაამარცხეს.

ხატაელების ციხე-ქალაქი აიღეს. ყველა გასაღები გამოართვეს, მთელი მათი ქონება ჯორ-აქლემებს აჰკიდეს და წამოვიდნენ. რამაზ მეფე თანვე წამოიყვანეს ტყვედ, ხელფეხშებორკილი. ნესტანისათვის საძღვნოდ ტარიელმა თან წამოიღო საუცხოოდ ნაქსოვი ფასდაუდებელი ყაბაჩა და რიდე.

ფარსადან მეფე დიდი ზეიმით დახვდა ომში გამარჯვებულ ტარიელს. ზეიმის დროს ტარიელი ნესტანის პირდაპირ იჯდა და მისი ცქერით ტკბებოდა.

იმ ღამით ნესტანმა ასმათის ხელით კვლავ გაუგზავნა წერილი ტარიელს. წერდა: დღეს მეტისმეტად დამშვენებული იყავი, გშვენოდა ომგადახდილობა და უშენოდ სიცოცხლე ერთ დღესაც არ მინდაო. თან სთხოვდა: ის რიდე მომეცი, რომელიც დღეს გამშვენებდა. ჩემგან კი სამკლავე მიიღეო. ტარიელმა ინახულა სატრფო, აჩუქა რიდე და სამკლავე გამოართვა.

მეორე დილას ფარსადანმა დაიბარა ტარიელი და რჩევა ჰკითხა, თუ ვინ მოეყვანათ სიძედ და ტახტის მემკვიდრედ. რადგან მეფეს ვაჟი არ ჰყავდა, თავისი ქალიშვილისათვის შესაფერ საქმროს ეძებდა, ინდოეთის ტახტიც მისთვის რომ ჩაებარებინა. მეფეს და დედოფალს უკვე გადაეწყვიტათ ხვარაზმ-შაჰის უფლისწულის მოყვანა. ტარიელს, ამის მოსმენისას, თავზარი დაეცა, მაგრამ მეტი ღონე აღარ იყო, რადგან მიხვდა, ეს საქმე უკვე წინასწარ გადაეწყვიტათ მეფე-დედოფალს, საქმის ჩაშლა აღარ ეგებოდა. მაინც ვერაფერს გახდებო-

და, რადგან მეფის რისხვას ვერ გაექცეოდა, ამიტომ ყველაფერზე დათანხმდა და ასეთი განზრახვა დიდად მოუწონა მეფეს, თუმცა გულში საშინელი ცეცხლი უტრიალებდა. ეკარგებოდა გულითადი საყვარელი და მთელი ინდოეთის სამეფო ტახტიც. მალე ხვარაზმ-შაჰთანაც გაგზავნეს მოციქულები.

ტარიელი საშინელ გუნებაზე მყოფი დაბრუნდა შინ.

ნესტანმა დაიბარა და მეტისმეტად გაჯავრებული დაუხვდა. დიდი საყვედური უთხრა, თანხმობა რად მიეცი. შეარცხვინა ტარიელი, ფიცის გამტეხი უწოდა, ტარიელმა ყველაფერი აუხსნა და თან დასძინა: შენ თავს არავის დავანებებ და ინდოეთსაც ვერავინ წამართმევსო. ქალი მოლბა და ურჩია: როცა სასიძო მოვიდეს — მოჰკალი, ჩემზე ყასიდად ხელი აიღე, მხოლოდ ინდოეთის ტახტი მოითხოვე, მამაჩემს მართალი ეგონება და ჩემს თავსაც და სამეფოსაც ორივეს დაგითმობსო.

ტარიელს მოეწონა ქალის რჩევა. ზეიმით მიიღეს ხვარაზმელები. სასიძოსა და მის მხლებლებს მოსასვენებლად კარვები დაუდგეს. ტარიელმა წინასწარ გააფრთხილა თავისი ერთგული კაცები. შემდეგ შეიპარა სასიძოს კარავში, ფეხში ხელი წაავლო მას, თავი სვეტს შეუტაკა და სული გააფრთხობინა. მხლებლებმა გაიგეს, ახმაურდნენ, მაგრამ ტარიელი ცხენს მოახტა და გაქუსლა: გზაზე მდევრები დაბოცა და საკუთარ შეუვალ ციხე-ქალაქში გამაგრდა.

იმ ღამით ყველაფერი გაიგო ფარსადანმა, გაგზავნა კაცები ტარიელის ბინაზე, მაგრამ ის იქ აღარ დაზვდა. მაშინ მიხვდა მეფე, ქალ-ვაჟს ერთმანეთი ჰყვარებიათო. ყველაფერი თავის დას — დავარს დააბრალა და დაიფიცა, კაცი არ ვიქნები, თუ არ შეგანანოო. დილით ადრე ტარიელს სამი დიდებული კაცი გაუგზავნა და საყვედური შეუთვალა: თუ ჩემი ქალი გინდოდა, რად არ მაცნობე, ან ხვარაზმშაჰის შვილის სისხლი ამაოდ რად დაღვარეო. ახლა ხომ მე ვარ პასუხისმგებელიო. ტარიელმა ის შეუთვალა, როგორც წინათ თავის სატრფომ ურჩია და ასწავლა.

რამდენიმე ხანს ტარიელი გაურკვეველ მდგომარეობაში იყო. არ იცოდა რა დაემართა ნესტანს. მაგრამ მალე დაინახა ასმათი, რომელიც თმაგაწეწილი ორ მონას მოჰყავდა. ასმათმა აცნობა ტარიელს შემდეგი: როცა დავარმა ეს ამბავი და მეფის ფიცი გაიგო, ჯერ საშინლად სცემა ნესტანს, შემდეგ კიდობანი გამოატანინა, შიგ ჩასვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ორ მონა ზანგს მისცა, მათ ქალი ზღვისაკენ გააქროლეს, თავად კი გულში დანა დაიცა და თავი მოიკლაო.

ამის გამგონე ტარიელი კინალამ გაგიჟდა. სასწრაფოდ ასამოცი კაცი შეკრიბა. ასმათიც თან წაიყვანა. ცხენებზე შემსხდარნი ზღვის პირამდის ჩავიდნენ, ნავებში ჩასხდნენ და წელიწადზე მეტ ხანს ზღვა-ზღვა ეძიეს დაკარგული ნესტან-დარეჯანი. მაგრამ ამაოდ. ამ ხეტიალში ტარიელს სულ დაეხოცა მხლებლები, მარტოოდენ ასმათი და ორი მონაღა შერჩა.

ზღვაში ძებნას თავი ანებეს და ხმელეთზე გამოვიდნენ.

ერთხელ მეტად დაღლილი ტარიელი ბაღში შევიდა, ხის ძირას ისვენებდა. ანაზდად ლანძღვა-გინებისა და ყვირილის ხმა მოესმა, დაინახეს, ერთი საუცხოო ახალგაზრდა კაცი მოდიოდა. დაჭრილი იყო და ხელში გადატეხილი ხმალი ეჭირა, ვიღაცას ხმამაღლა ემუქრებოდა და აგინებდა. შავი ცხენი ჰყავდა. ტარიელი მიეგება და ამბავი გამოკითხა. ის კაცი ქალაქ მულღანზანზარის პატრონი ნურადინ-ფრიდონი იყო: იქვე ზღვაში, მახლობლად, ერთი კუნძული მდებარეობდა, რომელსაც ბიძაშვილები ედავებოდნენ ფრიდონს. იმ დღეს ფრიდონი კუნძულზე სანადიროდ გავიდა. ბიძაშვილები მოულოდნელად თავს დაესხნენ და ბრძოლა აუტეხეს.

ფრიდონი მამაცად დახვდა და სულ მუსრი გაავლო, მაგრამ ხმალი გადაუტყდა და დაჭრეს; როგორც იყო მოახერხა, ზღვაში ცხენდაცხენ გადახტა და ცურვით უშველა თავს. ახლა იმუქრებოდა, აუცილებლად გადავუხდი ჩემს მტერს ღალატს და შევანანებო.

ტარიელს შეეცოდა ჭაბუკი; ტარიელის ერთმა მონამ, რომელიც დასტაქარი იყო, ჭრილობა შეუხვია. ტარიელმა დახმარება აღუთქვა ფრიდონს და კიდეც აუსრულა დანაპირი. მან სანაქებო ვაჟკაცობა გამოიჩინა. მტრის ნავს ნავი შეაჯახა და ზღვაში ჩანთქა. მთელი ის კუთხე და მტერი ფრიდონს დაუმორჩილა. ტარიელი ფრიდონის ძმადნაფიცი შეიქმნა და რამდენიმე ხანს მასთან დარჩა. ერთად დადიოდნენ, ნადირობდნენ და დროს ატარებდნენ.

ერთხელ, ზღვის პირას, მაღალ სერზე ავიდნენ და ფრიდონმა უამბო შემდეგი: ერთ დღეს ამ ადგილიდან მას დაენახა, ზღვაში ორ ზანგს ცურვით კიდობანი მოჰქონდა. ნაპირას გამოვიდნენ და კიდობნიდან უცხო მშვენების ასული გადმოიყვანეს. ფრიდონი ცხენით გაექანა მათკენ, ქალის წართმევას ლამობდა, მაგრამ ზანგებმა ზღვაში შეასწრეს; ამ ამბის გაგონებაზე ტარიელმა გრძნობა დაჰკარგა და

ფრიდონმა ძლივს მოასულიერა ძმობილი, შემდეგ ტარიელმა უამბო თავისი თავგადასავალი ფრიდონს, რომელიც დაინტერესდა ძმადნაფიცის ბედით და ყველა ნავსადგურში დაგზავნა კაცები ნესტანის ამბის გასაგებად, მაგრამ მაინც ვერაფერი გაიგეს.

რამდენიმე ხნის შემდეგ ტარიელი გამოეთხოვა ფრიდონს. ფრიდონმა ის შავი ცხენი აჩუქა, რომელზედაც იჯდა ტარიელი.

მთელი ზღვა და ხმელეთი მოიარა ტარიელმა. ყოველგან იყო. მრავალი ტანჯვა და გასაჭირი გამოიარა, მაგრამ ნესტანის ასავალ-დასავალს ვერსად მიაკვლია. სიცოცხლე მოსძულდა. მარტო ყოფნა და სიკვდილი ერჩია. ამიტომ სთხოვა ორ მონასა და ასმათს, მარტო დამტოვეთ და თქვენს თავს უპატრონეთო, მაგრამ ერთგული მსახურნი არ სცილდებოდნენ.

ამაო ხეტიალში მოაღწიეს ამ გამოქვაბულებს, სადაც დევები ცხოვრობდნენ, ტარიელი შეება დევებს და ამოწყვიტა. ბრძოლაში ის ორი მონაც მოუკლეს და მარტოოდენ ასმათი შერჩა: ტარიელი დაბინავდა გამოქვაბულში. ასმათს შინ დატოვებდა, გაიჭრებოდა ველად, ტირილითა და კვნესა-ვაებით დაძრწოდა მთა და ველებში. ეჯავრებოდა ადამიანთა დანახვა და მათთან საუბარი. თავს ნადირობით ირჩენდა. შეუყვარდა ვეფხის ტყავის ტარება სამოსად. ვეფხი სილამაზით ნესტანს აგონებდა. ყოველ წუთს ენატრებოდა სიკვდილი. მაგრამ რამდენიმე წელიწადი გავიდა და კიდევ ცოცხალი იყო, თუმცა წინანდელი ტარიელის აჩრდილიღა დარჩა...

ყველაფერი ეს ტირილითა და კვნესით უამბო ტარიელმა ავთანდილს. მოთქმითა და ლამაზი სიტყვებით იგონებდა დაკარგულ ნესტანს და მრავალჯერ შეუწუხდა გული. ასმათი წყლით აბრუნებდა უბედურსა და სიყვარულის ცეცხლისაგან ბედდამწვარ რაინდს. ავთანდილსაც აგონდებოდა თავისი სატრფო თინათინი, რომელმაც გამოგზავნა ამ უცნობი ჭაბუკის საპოვნელად. აწუხებდა ტარიელის მდგომარეობა... ამბის მოსმენის შემდეგ ნუგეში სცა მტირალ ტარიელს და ძმობა აღუთქვა: ახლა როსტევანთან წავალ, ყველაფერს ვუამბობ, ორი თვის შემდეგ დავბრუნდები და ყოველმხრივ დაგეხმარებიო. მხოლოდ სთხოვა ტარიელს, ჩემს დაბრუნებამდის ნურსად წახვალ, აქვე დამხვდი და ნამდვილ ძმობასა და მეგობრობას გაგიწევო.

მეორე დილას ტირილითა და ვაი-ვიშით გამოეთხოვნენ ურთიერთს. ავთანდილი გამოემართა თავისი ქალაქისაკენ. როსტევანი სი-

რა დავარ გაძღა ცემითა, მისითა დალურჯებითა,
წამოდგეს ორნი მონანი, პირითა მით ქაჯებითა.



ერთკერძ უც ლომი მოკლული და ხრმალი სისხლ-მოცხებული,
კვლა სხვაგან ვეფხი უსულო, მკვდარი, ქვედანარცხებული.

ხარულით დაუხვდა გაზრდილს და ყველაფერი სიამოვნებით მოისმინა.

აღზრდილმა მხოლოდ თინათინს გაუმხილა ის ამბავი, რომ კვლავ უნდა დაბრუნებულიყო ტარიელთან და დახმარებოდა გაჭირვეულში. რადგან ასე შეფიცა ტარიელს; თინათინმა მოუწონა ეს გადაწყვეტილება, ურჩია: მტკიცედ და ზუსტად დაეცვა პირობა და, როგორც მიჯნური, დახმარებოდა ბედმოცარულ მიჯნურს ტანჯვასა და გასაჭირში.

ავთანდილმა როსტევანს ვეზირი სოგრატი მიუგზავნა და წასვლის ნებართვა გამოითხოვა, მაგრამ მეფემ კინალამ მოჰკლა მოციქული. როსტევანს არ ემეტებოდა გაზრდილი ათასგვარი ფათერაკისა და ხიფათით სავსე მოგზაურობისათვის.

ამიტომ საშინელი უარი შეუთვალა. მაშინ ავთანდილმა გაპარვა განიზრახა. დაუტოვა შერმადინს მეფის სახელზე დაწერილი ანდერძი. ილოცა მიზგითში (მაჰმადიანთა საყდარი) და მალულად გაუდგა გზას. გზადაგზა მოთქვამდა და ტიროდა. აღონებდა, გულს სწვავდა სატრფოსაგან მოშორება. როსტევანი დიდად შეაწუხა ავთანდილის წასვლამ, ბევრი იტირა და იგლოვა. ბრძანება გასცა: ავთანდილის მოსვლამდის მხიარული ფერის სამოსი არ ჩაეცვათ მთელ სამეფოში.

რამდენიმე ხნის მგზავრობის შემდეგ ავთანდილმა მიაღწია გამოქვაბულს, მაგრამ ტარიელი იქ აღარ დაუხვდა. ასმათმა აცნობა: ტარიელს მოსწყინდა ქვაბში ყოფნა, ისევ ველად გაიჭრა და შემდეგ მისი არაფერი ვიცით. ავთანდილს ეწყინა ეს ამბავი, ტარიელის საყვედურიც გამოთქვა და შეუდგა მის ძებნას. ბევრი იარა, თუ ცოტა იარა, ერთ სერზე გადადგა და შამბით მოფენილი მინდორი დაინახა. შამბის პირას იდგა ტარიელის მერანი. ავთანდილს გაუხარდა და ცხენი გააჭენა. ტარიელი უგრძნობლად ეგდო მიწაზე. აქეთ-იქით მკვდარი ლომ-ვეფხვი ეყარა. ავთანდილმა მოასულიერა ძმობილი და დიდი ვაი-ვაგლახით ასმათის სანახავად გამოქვაბულისაკენ წამოიყვანა. გზადაგზა ტარიელმა უამბო მას ლომ-ვეფხვის დახოცვის ამბავი და ძმადნაფიცთან საუბარმა ოდნავ გამოაცოცხლა, ხალისი მისცა.

გამოქვაბულში ყოფნისას ავთანდილმა გააცნო ტარიელს თავისი განზრახვა. ...ავთანდილი წავიდოდა ნესტანის საძებნელად. ერთი წლის განმავლობაში ტარიელი იმ გამოქვაბულის არემარეს არ

უნდა მოშორებოდა. თუ საქმე ბედნიერად დაგვირგვინდებოდა და ავთანდილი ცოცხალი და უვნებელი იქნებოდა, ისევ გამოქვაბულში ინახულებდა ტარიელს, თუ არადა, შემდეგ ტარიელს თვითონვე უნდა მოეელო თავისთვის. ტარიელმა აღუთქვა და პირობა მისცა. თვალცრემლიანი გამოეთხოვნენ ერთმანეთს და ავთანდილი, პირველყოვლისა, ტარიელის ძმადნაფიც ფრიდონის ქალაქისაკენ გაემგზავრა. გზაზე ისევ იგონებდა თინათინს. იხსენებდა ძმადნაფიც ტარიელს, შესტიროდა მნათობებსა და ვარსკვლავებს, ულიმოდა ვარდ-ყვავილებსა და მისი საამური სიმღერის ხმა ესმოდა და აღვიძებდა მთელ ბუნებას.

როცა მულღაზანზარს მიუახლოვდა, დაინახა: ფრიდონი თავისი ამალით ნადირობდა მინდორში. ამ დროს თავზე ორბმა გადაუფრინა. ავთანდილმა ისარი შესტყორცნა და ჩამოაგდო; გაკვირვებული მონადირენი მოცვივდნენ და გაოცებით შეჰყურებდნენ ასეთ მშვენიერ ჭაბუკს. ავთანდილმა აცნობა მათ: ტარიელის ძმადნაფიცი ვარ, ფრიდონის ნახვა მწადიან, მასთან დიდი საქმე მაქვსო.

შვიდი წელიწადი გავიდა მას შემდეგ, რაც ფრიდონმა ტარიელის ამბავი აღარ იცოდა: ამიტომ მის სიხარულს საზღვარი აღარ ჰქონდა, როცა ავთანდილი ნახა და ტარიელის ამბავი გაიგო.

ავთანდილმა დაწვრილებით უამბო ფრიდონს თავისი და ტარიელის ამბები. დახმარება სთხოვა. მულღაზანზარში რამდენიმე დღე დარჩა. ნადირობდა, ქეიფობდა და დიდად შეაყვარა თავი ფრიდონის დიდებულებსა და ქვეშევრდომებს. შემდეგ, თუმცა დიდად ეძნელებოდა ფრიდონისა და მისი საყვარელი ხალხის დატოვება და მოშორება, მაგრამ გადაწყვიტა განეგრძო ნესტანის ძებნა, ფრიდონმაც აღარ დაუშალა, ოთხი საიმედო კაცი თან გამოაყოლა. აჩუქა ცხენი, მისცა საგზალი, ჩამოაცილა იმ ზღვისპირის ადგილამდის, სადაც ზანგები და მათგან მოტაცებული ნესტან-დარეჯანი ენახა და ტირილითა და ვაებით გამოეთხოვა ახლადშეძენილ მეგობარს.

მრავალი დღე და ღამე იარა ავთანდილმა. დღე ნადირობდა და ღამით ზღვის პირას იძინებდა. ისევ აგონდებოდა თინათინი, ტიროდა, იწყრებოდა ცრემლად და განაგრძობდა გზას. ერთხელ ერთი ქედიდან დაინახა ზღვათა მეფის ქალაქ გულანშაროში მიმავალი ბალდადელ ვაჭართა ქარავანი, რომელიც ვერ ბედავდა წინ წასვლას, რადგან ზღვაში მეკობრეები ჩასაფრებულიყვნენ და ვაჭრების გაძარცვას ლამობდნენ; ავთანდილი დაეხმარა ვაჭრებს. ჩასხა ნა-

ვებში, ჩაუკეტა კარები და თვით უშიშრად დადგა ნავის ქიმზე. მეკობრეებმა რომ დაინახეს ვაჭართა ნავები, ყიჟინითა და ლრიანცელით დაესხნენ თავს ავთანდილს, მაგრამ ის რკინის კეტით გადაუხტა ნავიდან, დაერია და მთლად ამოჟლიტა ისინი, მთელი მათი სიმდიდრე ვაჭრებს გადასცა; ვაჭართა მეთაური უსამი და ვაჭრები დიდად გახარებულნი იყვნენ და მთელი ქონების ბოძება უნდოდათ ავთანდილისათვის, მაგრამ მან იუარა, მხოლოდ სთხოვა: როცა გულანშაროში ჩავალთ, ნუ გაამჟღავნებთ, ვინ ვარ, თქვენს უფროსად გამომაცხადეთ, მე კი ვაჭრულად გამოვეწყობი, ასე მირჩევნიაო. ვაჭრები დათანხმდნენ. ჩავიდნენ გულანშაროში, — ამ ქალაქს მეფე მელიქ-სურხავი განაგებდა, იქაურ ვაჭართა უხუცესი იყო უსენი. მას ცოლად ჰყავდა ლამაზი ფატმან-ხათუნი. ფატმანმა მიიწვია ვაჭრები და ავთანდილი, კარგი მასპინძლობა გაუწია მათ და ფრიად მოეწონა ავთანდილის თვალ-ტანადობა. ასე რომ, შეუყვარდა იგი და სატრფიალო წერილიც კი მისწერა. ავთანდილმა იფიქრა, ეს ქალი ისეთ ქალაქში ცხოვრობს, მთელი ქვეყნის ამბები ეცოდინება, იქნებ მისი შემწეობითა და დახმარებით ნესტანის კვალს მივაგნოო. ამიტომ თავი ისე მოაჩვენა, თითქოს მასაც ძლიერ შეუყვარდა ფატმანი და საპასუხო წერილში გრძნობები გადაუშალა. გახარებულმა ფატმანმა იმ წამსვე პაემანი დაუნიშნა ავთანდილს, მაგრამ როცა ავთანდილი ფატმანთან გაემართა, მან ახლა სხვა მონა გამოუგზავნა: ამალამ ნულარ მოხვალ, ვერ მიგიღებო; ავთანდილი აღარ დაბრუნდა და მაინც ესტუმრა ახალ სატრფოს. ფატმანს წყენა დაეტყო, მაგრამ არ შეიმჩნია და შეყვარებულებმა ხვევნა-კოცნა დაიწყეს.

ამ დროს თავზე წაადგათ ერთი ჭაბუკი; ამ ამბის დანახვაზე მეტად გაბრაზდა, ფატმანი გამოლანძღა და დაემუქრა: ისეთ საქმეს დაგმართებ, შენი შვილები საკუთარი კბილებით დაგაჭმევინოო, ეს თქვა და კარში გავიდა. ფატმანმა ტირილი დაიწყო. ავთანდილმა აუგეშა და დახმარება აღუთქვა. ქალი მაინც განაგრძობდა ტირილს და ავთანდილს ეუბნებოდა: ან ის კაცი მოჰკალ, ანდა შენი ვაჭრებიანად ამალამვე გაიპარე აქედან, თორემ ხვალ ის კაცი ყველას აგვიკლებსო.

ავთანდილმა გაიგო იმ კაცის ბინა, მივიდა მალულად, მოჰკლა მცველებიანად და ფანჯრიდან ზღვაში გადაისროლა. თითზე ფატმანის ბეჭედი ჰქონდა წამოგებული. ის თითი დასარწმუნებლად ფატმანს მიუტანა.

ეროვნული ბიბლიოთეკა
F110.440
3
საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ფატმანი სიხარულით ცას ეწია და ავთანდილის კითხვაზე, თუ რას ემუქრებოდა ის კაცი, შემდეგი უამბო: ერთ დღეს ფატმანი მოწყენილი იყო. სევდის გასაქარვებლად ფანჯრიდან ზღვას გადაჰყურებდა. ზღვიდან ორი ზანგი გადმოვიდა. კიდობანი გადმოიღეს და იქიდან ერთი მზეთუნახავი გადმოსვეს. ფატმანმა ოთხი მონა გაგზავნა, მათ ზანგებს თავები დასჭრეს და ის უცხო მშვენების ასული ფატმანს მოჰგვარეს. ქალი სულ ტიროდა და არც ერთ შეკითხვაზე პასუხს არ იძლეოდა. ფატმანმა ერთ ოთახში მალულად დააბინავა იგი და დედასავით უვლიდა. იმ ქალის იქ ყოფნას არ უმხელდა არავის. ქმარსაც კი არ აცნობა, შიში ჰქონდა, სადმე წამოცდება და წამართმევენო. მაგრამ ფატმანის ქმარმა უსენმა მაინც გაიგო ცოლისაგან ეს ამბავი. თუმცა შეფიცა, არსად გავამხელო, მაგრამ სიმთვრალის დროს შეფის ნადიმზე მაინც წამოაყრანტალა და საიდუმლო გაამჟღავნა. ასული წაიყვანეს სასახლეში და შეფის ვაჟის საცოლედ ინახავდნენ. თვითონ შეფის შვილი იმჟამად ხაომრად იყო წასული.

ფატმანმა ქალს ძვირფასი ნივთები აჩუქა, რითაც ნესტანმა თავი დაიხსნა მცველებისაგან და გაიპარა. ისევ ფატმანთან მოვიდა. ფატმანმა ცხენზე შესვა და გააპარა. ეს ამბავი იცოდა სწორედ იმ კაცმა, — სახელად ჩაჩნაგირმა, რომელიც ახლა ავთანდილმა მოჰკლა. ჩაჩნაგირი ფატმანის საყვარელი იყო და ფატმანმაც ნესტანის გაპარების ამბავი გაანდო თავის მიჯნურს. ამიტომ ემუქრებოდა: ამალამდელი ღალატისათვის შეფეხთან დაგაბეზღებო.

ფატმანისაგან მოთხრობილმა სასიხარულო ამბავმა დიდად გაახარა ავთანდილი და სთხოვა ფატმანს, ეამბნა, თუ რა მოუვიდა იმ უცნობ ქალს გაპარვის შემდეგ. ფატმანმა დამატებით მოუთხრო: ერთხელ შემთხვევით ბაზარში თავმოყრილი მონების საუბარს დაუგდო ყური, ერთი მონა საკუთარ თავგადასავალს უამბობდა. ის იყო ახლადგარდაცვლილი ქაჯეთის შეფის მონა. შეფეს დარჩა ორი ვაჟი — როსანი და როდია. მათ ზრდიდა შეფის მკვიდრი და დურანდუხტი. ზღვას გალმა მცირეწლოვან ძმებს და მოუკვდათ. დურანდუხტი ძმისშვილებიანად იქ აპირებდა გამგზავრებას. ერთხელ მონების უფროსმა როშაქმა მინდორში სამეკობროდ მონები გამოიყვანა. გზაზე უცხო ვინმე ცხენოსანი შემოეფეთათ. შემოეხვივნენ, დაიჭირეს. იგი მზეთუნახავი ქალი აღმოჩნდა. წაიყვანეს ქაჯეთში. იქ დიდად მოეწონათ და როსანის საცოლედ დაწინდეს.

ფატმანმა ის მონა შინ მოიყვანა, უფრო გულდასმით და დაწვრილებით გამოკითხა ყველაფერი, შემდეგ ქაჯეთს გაგზავნა ორი გრძნეული მონა იმ ქალის ამბის გასაგებად. მონები დაბრუნდნენ და შემდეგი აცნობეს: ქაჯთა ქალაქი მიუვალი იყო. შიგ მაღალი ციხეა ალმართული, შესასვლელი მხოლოდ გვირაბიდან ჰქონდა. ამ ციხეში ჰყავდათ გამომწყვდეული ქალი, ხოლო როცა ზღვის გალმიდან დაბრუნდებოდნენ, როსანისათვის უნდა შეერთოთ ცოლად.

ქალაქის შესასვლელ სამ კარს სამ-სამი ათასი კაცი დარაჯობდა. გვირაბის შესასვლელთან კი ათი ათასი მცველი იდგა.

ავთანდილისათვის უაღრესად სასიხარულო იყო ეს ამბავი. მეორე დღესვე გაუმჟღავნა ფატმანს თავისი ვინაობა, უამბო ყოველივე და დახმარება სთხოვა, ფატმანმა ხალისით გაგზავნა გრძნეული მონა ქაჯეთს, მისწერა წერილი ნესტანს და ყოველივე აცნობა.

გრძნეული მონა უხილავად და მალულად შეიპარა ციხეში და ნესტანი ინახულა. ნესტანმა მადლობითა და სიყვარულით აღსავსე წერილი გამოუგზავნა ფატმანს და შემოუთვალა: ჩემი აქედან დახსნა ძნელია. ამაოდ თავს ნუ შეიწუხებენ, არაფერი გამოვაო, ჩემს სატრფოს კი ნიშნად იმ რიდის ჩამონაკვეთს ვუგზავნი, რომელიც ხატაეთის ბრძოლებიდან დაბრუნებისას მაჩუქაო. ტარიელს კი მისწერა სასოწარკვეთილებით აღსავსე წერილი: ცოცხალი აღარ მეგონეო, სთხოვდა თავი დაენებებინა მისი გამოხსნისათვის. აქ რომ მოგკლან, ჩემთვის უარესი ტანჯვა იქნებაო. ჯობს, ინდოეთს წახვიდე და მამაჩემს დაეხმარო, რომელსაც მტრები იკლებენო. სანამ ცოცხალი ვარ, ვერავინ ჩამიგდებს ხელში, შემდეგ კი კლდიდან გადავვარდები და თავს მოვიკლავო.

გრძნეულმა მონამ ფატმანსა და ავთანდილს წერილი და რიდის ნახევი მოუტანა. ავთანდილი საჩქაროდ გზას დაადგა. ფრიდონს ბარათი გაუგზავნა და ყველაფერი აცნობა. შეუთვალა: პირდაპირ ვერ წამოვალ, მხოლოდ ტარიელს ვნახავ და ერთად გამოგივლით, შემდეგ კი სამივემ ერთად ვილაშქროთ, ქაჯთა ტყვეობიდან ნესტანი გამოვიხსნათო.

გაზაფხულის დამდეგი იყო, როცა ავთანდილი დაბრუნდა ტარიელის გამოქვაბულთან, მაგრამ იქ აღარ მივიდა და შამბებსა და ტრამალებში დაუწყო ძებნა ძმობილს, რადგან დარწმუნებული იყო, ტრფობის ცეცხლით გულგასენილი და გაგიჟებული ტარიელი გამოქვაბულში ვერ გაძლებდა. მართლაც მინდორში იპოვა ავთანდილ-

შა იგი. ტარიელს ლომი მოეკლა და ხმალამოწვდილი იდგა. შერანი კი შამბის პირას გაჩერებულიყო. ტარიელი და ავთანდილი, როგორც დიდი ხნის უნახავი მეგობრები, გადაეხვივნენ და დიდხანს კოცნიდნენ ერთმანეთს. შემდეგ ავთანდილმა ვერ მოითმინა და უამბო სასიხარულო ამბავი. ტარიელმა არ დაუჯერა, ტყუილი ეგონა, მაშინ დამადასტურებლად უჩვენა ნესტანის წერილი და რიდის ნახევი. ტარიელს გული წაუვიდა და დაეცა მიწაზე. ავთანდილმა მოსაბრუნებლად წყალი რომ ვერ იშოვა, ტარიელს მისგანვე მოკლული ლომის სისხლი პეშვით დაასხა მკერდზე და მოაბრუნა. შესხდნენ ცხენებზე და სიმღერით გაემართნენ ასმათისაკენ გამოქვაბულში.

ასმათის სიხარული უსაზღვრო იყო. ტარიელი და ავთანდილი შეუდგნენ მზადებას ფრიდონისაკენ წასასვლელად. ორი ძმობილი ასმათიანად გაემგზავრა მულლაზანზარს. ფრიდონმა ჩვეულებრივად დიდი ზეიმით მიიღო მეგობრები. ცოტა დაისვენეს. შემდეგ შეარჩიეს სამასი საუკეთესო გმირი და გაილაშქრეს ქაჯეთზე.

ბრძოლის დაწყებამდე გამართეს თათბირი და სამივე რაინდმა თავ-თავისი აზრი გამოთქვა, თუ როგორ უნდა აეღოთ ციხე, მიღებული იქნა ტარიელის გეგმა, და სისხამ დილით სამივე გმირი ას-ასი კაცით ერთსა და იმავე დროს ეკვეთა ციხის კარებს. აბოწყვიტეს მცველები და შეიჭრნენ ქალაქში. ტარიელმა დალეწა გვირაბის კარი, აძვრა შიგ და ნახა ნესტან-დარეჯანი. ნესტანი გამოიხსნეს ტყვეობიდან.

ქაჯეთის ქალაქის მთელი ქონება აჰკიდეს ჯორ-აქლემებს და წამოვიდნენ ზღვათა ქალაქისაკენ, სადაც ნესტანსა და ტარიელს ქორწილი გადაუხადეს. ზღვათა მეფეს უძღვნეს ქაჯეთის ციხე-ქალაქი, ფატმანს კი მთელი ის სიმდიდრე, რომელიც ნადავლად წამოიღეს ქაჯეთიდან.

შემდეგ გაემართნენ ფრიდონისას. აქაც დიდი ლხინი და ქორწილი გადაიხადეს. გზად ტარიელის საბყოფელ გამოქვაბულში გამოიარეს.

აქაური სიმდიდრე ტარიელმა ფრიდონს უძღვნა მთლიანად. აქედან კი პირდაპირ არაბეთს მიმართეს. ტარიელმა უთხრა ავთანდილს: როგორც შენ დამეხმარე და ნესტან-დარეჯანი მაპოვნინე, ისე მეცა მსურს დაგეხმაროო.

როსტევანმაც დიდი ზეიმი და ლხინი გამართა. ტარიელმა უშუამდგომლა ავთანდილს როსტევანთან და ისიც დიდი სიამოვნებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

დათანხმდა მის სიძობას. ავთანდილი და თინათინი ერთად დასვეს ტახტზე. აქ ორი ქორწილი ერთად გაიმართა. ნადიმი, შექცევა, ზეიმი რამდენიმე დღეს გაგრძელდა. შემდეგ კი სამივე რაინდი ოთხმოცი ათასი კაცით გაემგზავრა ინდოეთისაკენ. დიდი მწუხარებით გამოეთხოვნენ როსტევანი და თინათინი ტარიელსა და ნესტანს.

ძმადნაფიც მეგობრებს გზაში შემოხვდათ ინდოეთიდან წამოსული ეგვიპტელი ვაჭრები, რომლებმაც მათ აცნობეს სამწუხარო ამბავი: მეფე ფარსადანი გარდაცვლილიყო, ინდოეთი ხატაელთა მეფეს — რამაზს დაეპყრო და მთელი ქვეყანა აეოხრებინა.

სამი გმირი საჩქაროდ გაემგზავრა იქითკენ და ინდოეთი გაანთავისუფლეს ხატაელთა მონობიდან.

დიდი ამბით შეეგება ინდოეთი ტარიელსა და ნესტანს. თავიანთ შეფედ აღიარეს და საუცხოო ქორწილი გადაუხადეს. ტარიელმა ასაჩათს ინდოეთის ერთი მეშვიდედი უბოძა და უთხრა — შეერთო ქმრად, ვისაც მოისურვებდა.

განუწყვეტელი ქეიფებისა და ნადიმების შემდეგ რაინდებმა კვლავ შეჰფიცეს ერთმანეთს ძმობა და მეგობრობა, დათქვეს, რომ ხშირად იელიდნენ ურთიერთთან და ყოველთვის ერთგულნი იქნებოდნენ ჭირსა და ლხინში.

ავთანდილი დაბრუნდა თინათინთან და მასთან ერთად განაგებდა არაბეთს. ფრიდონიც გაემართა მულლაზანზარს და სამივეს დიდხანს ახსოვდათ ერთმანეთი.

5(95)07-94-27 ფასიანი ძველად

F 110.440
3